რუსეთ-თურქეთის სიტუაციური მოკავშირეობა შავი ზღვის რეგიონში

(პოლიტიკური ინტერესები)

DOI: https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.12

ხვიჩა კოხია

სამართლის მაგისტრი, მკვლევარი

Khkokhia@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/0009-1404-3293

თათია ხუნტუა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

დოქტორანტი

tatiaxuntua@yahoo.com

ORCID iD: https://orcid.org/0009-0009-6039-2177

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ,,რუსეთ-თურქეთის სიტუაციური მოკავშირეობა შავი ზღვის რეგიონში", მათი ეკონომიკური ინტერესები და ამ ინტერესებზე დამყარებული პოლიტიკური თუ სამხედრო ქმედებები, რომლებიც გადამწყვეტ გავლენას ახდენენ მთლიანად რეგიონში მიმდინარე პროცესებზე. ჩარლზ კინდერბერგის ,,ჰეგემონიის სტაბილურობის თეორიის" თანახმად, შავი ზღვის რეგიონში მკვეთრად გამოკვეთილი ორი ძირითადი დაჯგუფება დომინირებს: ნატო და ევროკავშირი თურქეთის სახით და მასთან დაპირისპირებული რუსეთი - ჩრდილოეთ კორეასთან და ირანთან ალიანსში. ამ ორი სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფების დაპირისპირების მთავარი მიზეზი გახლავთ შავი ზღვის რეგიონზე გამავალი აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელი გლობალური მნიშვნელობის მქონე ეკონომიკური დინებების გაკონტროლების მწვავე სურვილი. ეკონომიკურ დინებებზე კონტროლი ორივე დაჯგუფებას აძლევს შესაძლებლობას, გავლენა მოახდინოს გლობალურ პროცესებზე. ამ თეორიის კომპლექსური შესწავლა და გამოყენება აუცილებელია, რადგან რეგიონში არსებული დაძაბული გარემო მოითხოვს სწრაფ და

მოქნილ რეაგირებას მშვიდობის შესანარჩუნებლად და ეკონომიკური პროცესების ურყევი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ამ თეორიის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სოციალურად ორიენტირებული ძლიერი ლიბერალური ეკონომიკის დასამკვიდრებლად აუცილებელია სამხედრო ძალის მოპოვება და მისი უპირატესობის დემონსტრირება. ეს, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა, აღნიშნული ძალა გამოყენებულ იქნას საშინაო და საგარეო პოლიტიკაში წესრიგის დასამყარებლად. ეს პროცესი ემსახურება არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ალიანსის წევრი ქვეყნების ინტერესების გატარებასაც, რის შედეგადაც მყარდება გლობალური ლიბერალური და ურთიერთსასარგებლო წესრიგი.

ნაშრომში ასევე განხილულია შავი ზღვის რეგიონში დაპირსპირებული ძირითადი ორი მხარის ურთიერთობების ისტორია, დღევანდელი რეალობა, მოვლენათა შესაძლო განვითარება და პერსპექტივები.

საკვანძო სიტვები: სიტუაციური მოკავშირეობა, ჰიბრიდული პოლიტიკა, სტრატეგიული პარტნიორობა, იდეოლოგიური პროფილი, ავტორიტარიზმი.

Russia–Turkey Situational Alliance in the Black Sea Region (Political Interests)

Khvicha Kokhia

Researcher

Khkokhia@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/0009-1404-3293

Tatia Khuntua

Doctoral Student, Caucasus International University

tatiaxuntua@yahoo.com

ORCID iD: https://orcid.org/0009-0009-6039-2177

Abstract

The paper deals with the "Russian-Turkish situational alliance in the Black Sea region", their economic interests, and political or military actions based on these interests, which have a decisive impact on the processes taking place in the entire region. Drawing on Charles Kindleberger's theory of hegemonic stability, the study argues that the region is characterized by the dominance of two major power blocs: NATO (represented by Turkey) and the EU, and the opposing coalition led by Russia in partnership with Iran and North Korea.

At the heart of this confrontation lies a struggle over control of vital economic flows that traverse the Black Sea, a region that serves as a strategic bridge between East and West, North and South. Both blocs seek to command these flows to expand their global influence. In this context, the application of Kindleberger's theory becomes essential to assess the balance between military assertiveness and economic liberalism, particularly under the pressures of today's volatile geopolitical climate. Maintaining peace and ensuring the steady development of the processes requires agile and coordinated responses.

The core premise of the hegemonic stability theory is that the establishment of a socially oriented liberal economic order necessitates the demonstration of military superiority. Such superiority enables a hegemon to enforce order both domestically and internationally, facilitating the promotion of its own and allied interests and contributing to a global liberal and mutually beneficial system.

The paper also offers a historical overview of Russian-Turkish relations in the Black Sea, outlines current realities, and considers possible future scenarios and strategic implications for the region.

Keywords: Situational alliance, hybrid politics, strategic partnership, ideological profile, authoritarianism.

შესავალი

შავი ზღვის რეგიონში რუსეთსა და თურქეთს შორის თანამშრომლობა გამოწვეულია სტრატეგიული გათვლებით და არა საერთო ღირებულებებით ან გრძელვადიანი მიდგომებით. მათი ინტერესები იკვეთება რეგიონში ნატოს გავლენის შეზღუდვის, საკუთარი სიძლიერის შენარჩუნების და ენერგომატარებლების საკითხებში, მაგრამ გააჩნიათ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები გეოპოლიტიკური გავლენის საკითხზე. ამიტომ, რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობა რჩება სიტუაციურ თანამშრომლობად - ისინი თანამშრომლობენ, როდესაც ეს მათ ინტერესებში შედის, მაგრამ გააგრძელებენ კონკურენციას რეგიონში დომინირებისთვის.[183]

სსრკ-ს დაშლამ, პოსტ-საბჭოთა ქაოსმა, ეკონომიკურმა ვარდნამ, კორუფციამ და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ რუსეთის მოსახლეობაში წარმოშვა სტაბილურობისა და ძლიერი ხელისუფლების მოთხოვნა, რასაც გრძნობდა რუსეთის პირველი პრეზიდენტის გარემოცვა და ხელისუფლებაში მოიყვანა რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი, რომლის პოლიტიკური იდეოლოგიისა და მმართველობის სტილისთვის დამახასიათებელია ავტორიტარიზმი, ნაციონალიზმი და იმპერიის აღორძინებისკენ სწრაფვა; სახელმწიფო კაპიტალიზმი და როგორც შედეგი, ტოტალური კორუფცია; ე.წ. ჰიბრიდული ომის გზით დასავლეთის დასუსტება საკუთარი გეოპოლიტიკური გავლენის გასაძლიერებლად.[184]

რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიიჩნევს მოსაზრებას დასავლეთის მიერ ცივი ომის შემდეგ რუსეთის დამცირების შესახებ. მისი პოლიტიკა მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირის დროინდელი გავლენის აღდგენასა და

[183] გუნეით გურერი, ელენა ვალზაკი. რუსეთ-თურქეთის სტრატეგიული თანამშრომლობა ახალი მოსფლიოს წესრიგის ფორმირების პროცესში. აშშ. 01.12.2024. Russian-Turkish Strategic Cooperation in the New Security Environment. USA.

[184] კატიანოვ. ვ. რუსეთის ისტორიული ბედის გააზრება. რფ. Katyanov. V. Understanding the historical fate of Russia.

რუსეთის მსოფლიო „დერჟავად“ ქცევას, რაც სამხედრო ინტერვენციებშიც ჩანს საქართველოში, სირიასა და უკრაინაში, მსოფლიო და უპირველესად, ევროპულ ბაზარზე ენერგეტიკული დომინირებისა და ევროპული სახელმწიფოების მმართველ პოლიტიკურ წრეებში შეღწევის მცდელობებში მემარჯვენე და პოპულისტური ძალების გადაბირების გზით.[185]

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის წინააღმდეგ ომმა და დასავლურმა სანქციებმა რუსეთის სამხედრო და ეკონომიკური ძლიერება მნიშვნელოვნად შეარყია, რუსული საფრთხის სრულად გაუვნებელყოფა დასავლური ერთიანობის გაძლიერების გარეშე კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.

თანამედროვე რუსეთის იდეოლოგია რელიგიური მესიანიზმითა და ნაციონალიზმით უხვად გაჟღენთილ, საეჭვო და საკამათო ისტორიული ფაქტებით გამყარებული ცარისტული და საბჭოთა რუსეთის მემკვიდრეობის რთულ ნაზავს წარმოადგენს, რომელიც კონსერვატიული ფასეულობებისადმი ერთგულების წარმოჩენით და დასავლური გავლენის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლით ხასიათდება.[186]

გაიდეალებული წარსულიდან მომავალი, ავტოკრატიულ და იმპერიულ ტრადიციებზე დამყარებული იდეოლოგიური პროფილი გახლავთ რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების ნეოიმპერიალისტული მისწრაფებების მკვებავი წყარო. რუსეთის ფედერაციის ხედვა, როგორც რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის მემკვიდრისა, წარმოადგენს რუსული პოლიტიკური მსოფლმხედველობის საფუძველთა საფუძველს და მის ხელისუფლებას აძლევს აღორძინებული ეროვნული სიამაყის მანტიამოსხმული აგრესიის გამართლების შესაძლებლობას, წარმოაჩენს რა, მათ „ისტორიული“ „რუსული მიწების“ დაბრუნებად და „უნიკალური რუსული სამყაროს“ დაცვად, რასაც ისტორიულ ჭეშმარიტებასთან ძალიან ცოტა რამ აკავშირებს.

„რუსული სამყაროს“ იდეოლოგიის მიხედვით, რუსეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ეთნიკური რუსები და რუსული კულტურა რუსული იდენტობის განუყოფელი ნაწილია. ამ იდეას ხელისუფლება იყენებს, როგორც შიდა მოხმარებისათვის, ასევე თავისი პრეტენზიების დასასაბუთებლად შავი ზღვის რეგიონში. რუსეთი განიხილავს შავ ზღვას, როგორც სასიცოცხლო სტრატეგიულ წყალს ხმელთაშუა ზღვაში და, ფარგლებს გარეთ, მისი სამხედრო და ეკონომიკური წვდომისთვის. შავი ზღვის რეგიონს რუსეთის გეოპოლიტიკურ ხედვებში

[185] დუგინი. ა. გეოპოლიტიკის საფუძვლები. 1997. რფ. Дугин. А. Основы геополитики. 1997. РФ

[186] სეტ ჯონსი. რუსეთის ჩრდილი დასავლეთის წინააღმდეგ. აშშ. 18.03.2025. Seth Jones. Russia's Shadow Against the West. USA. 18.03.2025.

ცენტრალური ადგილი უკავია, რაც მის იდეოლოგიურ პროფილში შემდეგი სახითაა წარმოდგენილი.[187]

უკრაინის წინააღმდეგ აგრესიას რუსეთის ფედერაცია ისტორიული და კულტურული მიზეზებით ამართლებს, აკავშირებს იმპერიულ და მართლმადიდებლურ მემკვიდრეობასთან. მის მიერ შავი ზღვა განიხილება არა მხოლოდ გეოგრაფიულ აქტივად, არამედ სიმბოლურ სულიერ კავშირადაც, როგორც შეხსენება მის უფლებაზე - იყოს რუსული კულტურის უალტერნატივო დამცველი რეგიონში. რუსეთის მტკიცებით, შავი ზღვის კონტროლი, ეროვნული უსაფრთხოებისათვის, წარმოადგენს სასიცოცხლო ინტერესს.[188]

რუსეთი შავ ზღვას კრიტიკულად მნიშვნელოვან ბუფერულ ზონად მიიჩნევს. მისი მიზანია ნატოსთვის წინააღმდეგობის გაწევა და აღმოსავლეთისკენ ნებისმიერი იერიშის აღკვეთა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას რუსეთის უსაფრთხოებას. ვინაიდან რეგიონი ახლოსაა ევროპასთან და არასტაბილურ ახლო აღმოსავლეთთან, რუსეთი იძულებულია მიიღოს ზომები მეზობელი რეგიონების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რითაც თავიდან აიცილებს დასავლეთიდან მომდინარე შესაძლო აგრესიას.

სამხედრო და იდეოლოგიური ფაქტორების გარდა, შავი ზღვის რეგიონი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რუსეთის ეკონომიკური სტრატეგიისთვისაც. წვდომა ყირიმის პორტებზე უზრუნველყოფს წლიურ ნავიგაციას, რაც გადამწყვეტია ნავთობისა და გაზის ექსპორტისთვის. რუსეთის ენერგეტიკული მილსადენები და საზღვაო სავაჭრო მარშრუტები თავმოყრილია შავი ზღვის რეგიონის გარშემო, რაც ზრდის მის ეკონომიკურ დამოკიდებულებას და გეოპოლიტიკურ გავლენას.[189]

ბოლო წლებში რუსეთმა შავ ზღვაზე უპირატესობა მიანიჭა ჰიბრიდულ და „რუხი ზონის“ ტაქტიკას, დაწყებული საზღვაო ძალების გამოყენებიდან, დამთავრებული ფარული ოპერაციებით. „რუხი ზონის“ ტაქტიკა რუსეთს აძლევს შესაძლებლობას, მოახდინოს რეგიონის დესტაბილიზაცია და საკუთარი ინტერესები წინ წამოწიოს ნატოს ან დასავლეთის მხრიდან აშკარა სამხედრო პასუხის

[187] გიორგი სურმავა. დავიდ ბატაშვილი. შავი ზღვის უსაფრთხოება, მოთამაშეთა ინტერესები. რუსეთის სტრატეგია - თურქეთის მიდგომები. თბ. 2013. Giorgi Surmava. David Batashvili. Black Sea Security, Players' Interests. Russia's Strategy - Turkey's Approaches. Tbilisi. 2013.

[188] კარაგანოვი.ს. დიდი თამაში, რუსეთი, დასავლეთი და მსოფლიოს მომავალი. რფ. Караганов С. Большая игра, Россия, Запад и будущее мира. РФ.

[189] ჯორჯ სკუტარუ. შავი ზღვის რეგიონის ოფშორები, ენერგო პოტენციალი და მისი სტრატეგიული როლი რეგიონალურ და კონტინენტურ დონეზე. ბუქარესტი. 2024. George Scutaru. Offshores of the Black Sea Region, Energy Potential and Its Strategic Role at the Regional and Continental Levels. Bucharest. 2024.

პროვოცირების გარეშე. ეს მიდგომა ასახავს მის უფრო ფართო იდეოლოგიურ ერთგულებას „რუხ ზონაში“ ბრძოლისადმი, რაც მიზნად ისახავს გავლენის შენარჩუნებას სრულმასშტაბიანი ომის თავიდან აცილებით.

რუსეთის ანტიდასავლური კონსერვატიზმი და ჰიბრიდული ომის ნარატივები ცალსახად განსაზღვრავს მის ქმედებებს შავი ზღვის რეგიონში. იმპერიულ ფესვებთან დაბრუნებაზე ხაზგასმითა და დასავლური ლიბერალური ღირებულებების უარყოფით, რუსეთის ხელისუფლება კრემლის შემდგომ ქმედებებს პროგნოზირებადს ხდის. ეს ქმედებები მიმართულია რეგიონში დაძაბული ვითარების პროვოცირებისკენ, თუმცა საკითხავია, რამდენად შედეგიანი აღმოჩნდება მისი მცდელობები.

თურქეთის იდეოლოგიურ ხედვას შავი ზღვის ქვეყნების მიმართ საფუძვლად ამ რეგიონში მისი დომინანტური სტატუსით გამყარებული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობები უდევს და მას დღესაც არ დაუკარგავს როგორც ისტორიული, ისე გეოპოლიტიკური კონტექსტი. შავი ზღვის რეგიონი დღესაც დიდად მნიშვნელოვანია თურქეთისთვისაც და რეგიონალური თუ მსოფლიო მნიშვნელობის მოთამაშეებისათვის. საუკუნეების მანძილზე ერთმანეთში გადახლართული პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების საკითხები, კულტურული და ეთნიკური კავშირები მრავალვექტორული დიპლომატიის წარმოების აუცილებლობას წარმოშობს. მით უმეტეს, როდესაც საუბარია თურქეთსა და რუსეთზე, რომლებიც შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების უმრავლესობის მეტროპოლიებს წარმოადგენდნენ არცთუ შორეულ წარსულამდე.[190]

თურქეთისა და რუსეთის საომარი დაპირისპირებებისა და თანამშრომლობის ხანგრძლივი ისტორია სათავეს ოსმალეთისა და ცარისტული იმპერიებიდან იღებს. მათ შორის წარმოებული შეიარაღებული კონფლიქტები ტერიტორიულ დავებს და გავლენის სფეროებს უკავშირდებოდა და ეს საკითხი დღესაც აქტუალურია, თუმცა თურქეთისა და რუსეთის ურთიერთობა (განსაკუთრებით საქართველოსა და უკრაინის კონფლიქტების ფონზე) დაძაბულ რიტმში მიმდინარეობს. ისინი თანამშრომლობენ ენერგეტიკულ პროექტებსა და გარკვეულ გეოპოლიტიკურ საკითხებზე სირიასა და სამხრეთ კავკასიაში, თუმცა, დაძაბულობა რჩება ნატოსა და დასავლურ სახელმწიფოებთან თურქეთის კავშირებისა და უკრაინის მიმართ განსხვავებული პოლიტიკის გამო, განსაკუთრებით ყირიმთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი პრაგმატულად ეკიდება რუსეთთან

[190] დარია ისაშენკო. თურქეთის მიდგომა შავი ზღვის რეგიონში. 10.06.2024. გერმანია. Daria Isashenko. Turkey's approach to the Black Sea region. 10.06.2024. Germany

ურთიერთობას, ის ცდილობს არ დაარღვიოს ბალანსი სხვა სერიოზული მოთამაშეების ხარჯზე.

თურქეთი, როგორც ყოფილი მეტროპოლია, დაბალანსებულ და პოზიტიურ ურთიერთობას ინარჩუნებს თავის ყოფილ კოლონიებთან – დღეს უკვე რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან. იგი აქტიურად თანამშრომლობს მათთან ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში. ეს ქვეყნები თურქეთს საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების რეალურ საფრთხედ არ აღიქვამენ და რუსეთისგან განსხვავებით, მისგან არაპროვოცირებულ ომს არ ელიან. პირიქით, თურქეთი უპირობოდ უჭერს მხარს შავი ზღვის აუზის ქვეყნების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. სომხეთთან მიმართებაშიც კი, მწარე წარსულის მიუხედავად, თურქეთი შერიგების პოლიტიკას ატარებს და ურთიერთობის მოგვარების გზებს ეძებს.

თურქეთის იდეოლოგიური პლატფორმა ემყარება თანამშრომლობას და დაბალანსებას, ამასთანავე იგი ცდილობს გაამყაროს თავისი, როგორც პოზიტიური რეგიონალური ლიდერის პოზიციები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთს არ ავიწყდება ე.წ. „ოსმალური მემკვიდრეობა“, თუმცა იგი ფრთხილობს იმ ქვეყნებთან, რომლებსაც ოსმალური წარსულისაგან დისტანცირება სურთ. უნდა ითქვას, რომ იგი ამ გამოწვევებს წარმატებით უმკლავდება.

თურქეთი მოზომილად და ფრთხილად ახორციელებს პან-თურქიზმის იდეოლოგიას. ის ხელს უწყობს თურქულენოვან კულტურას საგანმანათლებლო და მედია ინიციატივების მეშვეობით და პან-თურქიზმს განიხილავს, როგორც თურქულენოვანი ხალხების პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ერთობას. თურქეთი არ ცდილობს (ყოველ შემთხვევაში, აშკარად) სხვადასხვა თურქული ეთნიკური ჯგუფების გაერთიანებას ერთი ერის ან თუნდაც მჭიდრო ალიანსის ქვეშ.

თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის მთავრობა ხაზს უსვამს თურქების ერთიანობას ისეთი ორგანიზაციების მეშვეობით, როგორიცაა თურქული სახელმწიფოების ორგანიზაცია (OTS) (ყოფილი თურქული საბჭო). ამ ჯგუფში შედიან: თურქეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და უზბეკეთი, დამკვირვებლების სახით მონაწილეობენ უნგრეთი და თურქმენეთი. ამასთანავე, ერდოღანის პოლიტიკა უფრო მეტად ნეო-ოსმანიზმის შტრიხებს ატარებს, ვიდრე პანთურქიზმის. კლასიკური

პანთურქისტებისგან განსხვავებით ერდოღანი ყურადღებას ამახვილებს თურქეთზე, როგორც რეგიონალურ ლიდერზე და არა თურქი ერების სრულ გაერთიანებაზე. [191]

ერდოღანის პანთურქულ ექსპანსიას რუსეთი და ჩინეთი ეწინააღმდეგებიან, რადგან ხედავენ სეპარატიზმის საფრთხეს თავიანთ თურქულენოვან რეგიონებში (თათარსტანი, სინძიანი).

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს თურქულ-აზერბაიჯანული ერთიანობის იდეოლოგია, „ერთი ერი, ორი სახელმწიფო“, რომლის წარმატებული რეალიზაციის გვირგვინად 2020 წელს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება იქცა. თურქული დიპლომატიის უდავო წარმატებაა, რომ ამ პროცესში რუსეთი სტატისტის როლით დაკმაყოფილდა, მიუხედავად სომხეთთან მისი ისტორიულად სტრატეგიული კავშირებისა. თუმცა, სომხეთში პოლიტიკური და სამხედრო დინამიკა რუსეთსა და თურქეთს შორის პოტენციური დაძაბულობის ზონად რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი უშუალოდ არ მონაწილეობდა სამშვიდობო მოლაპარაკებებში, მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პოსტ-კონფლიქტური რეგიონული წესრიგის ჩამოყალიბებაში. ყარაბაღის კონფლიქტის შედეგებმა თურქეთი უფრო მტკიცე რეგიონულ ძალად აქცია. მან მოიპოვა ახალი ბერკეტები სამხრეთ კავკასიაში, რამაც მისი სტრატეგიული მიზნები უფრო გაამრავალფეროვნა.[192]

როგორც ზემოთ აღინიშნა, თურქეთსა და რუსეთს ტრადიციულად რთული ურთიერთობა აქვთ, ისინი ერთდროულად ახერხებენ თანამშრომლობასაც და მეტოქეობასაც (სირია, ლიბია, შავი ზღვის რეგიონი და ენერგეტიკა, სამხრეთ კავკასია, ცენტრალური აზია), მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათი რეგიონალური მიზნები უფრო ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ვიდრე ემთხვევა. მაგალითად, რუსეთს და თურქეთს გააჩნიათ წინააღმდეგობრივი ინტერესები ქურთების საკითხში, განსაკუთრებით სირიაში. რუსეთს აქვს ურთიერთობა სირიის ქურთულ ძალებთან (YPG), რომელსაც თურქეთი ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევს.[193]

დელიკატური თანამშრომლობის და დაბალანსების პოლიტიკის მაგალითია თურქეთის მიდგომა უკრაინის კონფლიქტის მიმართ, რაც განპირობებულია მისი

[191] დიმიტრი არისტოპოლუსი. პანთურქული იდეოლოგია და მისი გავლენა გეოპოლიტიკაზე. 07.12.2020. თურქეთი. Dimitri Aristopolous. Pan-Turkic ideology and its impact on geopolitics. 07.12.2020. Turkey.

[192] ემილ ავდალიანი. თურქეთის გამარჯვებული სტრატეგია ნაგორნო ყარაბაღის კონფლიქტში. 13. 11.2020. Emil Avdalyan. Turkey's Winning Strategy in the Nagorno-Karabakh Conflict. 13.

[193]ანნა რომანდაშ. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების მუდმივი ევოლუცია. 27.08.2024. Anna Romandash. The constant evolution of Russian-Turkish relations. 27.08.2024.

გეოპოლიტიკური პოზიციით და სურვილით, მართოს ურთიერთობები როგორც რუსეთთან, ასევე რეგიონთანაც და დასავლეთთანაც. შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ თურქეთი უკრაინის (ისევე, როგორც საქართველოს) ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ძლიერი მხარდამჭერია, განსაკუთრებით რუსეთის მიერ 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ. თავის დროზე მის მიერ ასევე დაგმობილი იქნა რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრა უკრაინაში 2022 წელს.

თურქეთი უკრაინას სხვადასხვა სახის, მათ შორის სამხედრო მხარდაჭერას უწევს. გარდა ამისა, იგი აგზავნის ჰუმანიტარული დახმარებასაც და მხარეებს სთავაზობს შუამავლობას სამშვიდობო მოლაპარაკებებში.

თურქეთმა 2022 წელს ხელი შეუწყო უკრაინასა და რუსეთს შორის "სტამბოლის სამშვიდობო მოლაპარაკებების" გამართვას. თურქეთის, როგორც შუამავლის როლი გადამწყვეტად მიიჩნევა მოსკოვთან და კიევთან არსებული ურთიერთობების, ასევე ნატოს სხვა წევრებთან შედარებით შედარებით ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნების უნარის გამო.

უკრაინის მხარდაჭერის დეკლარირების მიუხედავად, თურქეთი ახორციელებს ბუნებრივი აირის მნიშვნელოვან იმპორტს რუსეთიდან და თანამშრომლობს ისეთ მსხვილ ენერგეტიკულ პროექტზე, როგორიცაა „თურქული ნაკადი“. ის ფრთხილობს, რომ რუსეთი სრულად არ გაუცხოვდეს და ცდილობს მასთან შეინარჩუნოს მაქსიმალურად პირდაპირი კონტაქტები. თურქეთი, ნატოს წევრი ქვეყანა, მხარს უჭერს დასავლეთის სანქციებს რუსეთის მიმართ, თუმცა სრულად არ უერთდება დასავლეთს. ეს მიდგომა რუსეთთან არსებული ეკონომიკური კავშირებითაა ნაკარნახევი. ამასთანავე, იგი თანამშრომლობს დასავლეთთან უკრაინის სამხედრო მხარდაჭერის კონტექსტში.[194]

ეროვნული თავდაცვისა და გეოპოლიტიკური გავლენის უზრუნველსაყოფად თურქეთისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებას შავი ზღვა წარმოადგენს. ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების კონტროლი არის მნიშვნელოვანი ბერკეტი თურქეთის ხელში. შავი ზღვის სხვა სახელმწიფოებს და რეგიონის გარეთა ქვეყნებსაც კი გარკვეულწილად მასზე დამოკიდებულს ხდის.

[194] გულსენ სოლაკერ. შეუძლია თურქეთს უკრაინის მომავალში რაიმე სახის დადებითი როლი ითამაშოს. 02.21.2025. გერმანია. Gulsen Solaker. Can Turkey play some kind of positive role in the future of Ukraine? 02.21.2025. Germany.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ შავი ზღვა უკრაინის კონფლიქტშიც თამაშობს გადამწყვეტ როლს. შავი ზღვა რჩება თურქეთსა და რუსეთს შორის სტრატეგიული კონკურენციის ზონად:

- ორივე ქვეყანას აქვს საზღვაო და სამხედრო ინტერესები რეგიონში და თურქეთის ნატოს წევრობა, ნატოს სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით, უფრო ართულებს მათ ურთიერთობას;
- თურქეთი აკონტროლებს სამხედრო და კომერციული გემებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს;

თურქეთმა მონტრეს კონვენციის შესაბამისად შეზღუდა რუსული ხომალდების შესვლა შავ ზღვაში, რითაც თავიდანვე ხაზი გაუსვა უკრაინის მიმართ მხარდაჭერას რუსეთთან მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული კავშირების შენარჩუნების პარალელურად. რა მნიშვნელოვანი კავშირებია ეს? რუსეთი არის თურქეთის ერთ-ერთი მთავარი ენერგეტიკული, განსაკუთრებით, ბუნებრივი აირის მიმწოდებელი პარტნიორი. ეს ენერგეტიკული კავშირები ორმხრივი ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილია და ორივე ქვეყანა ეწევა დიდ ძალისხმევას ამ ეკონომიკური კავშირების შესანარჩუნებლად.

ენერგეტიკის გარდა, რუსეთსა და თურქეთს აქვთ მზარდი სავაჭრო კავშირები ისეთ სფეროებში, როგორიცაა მშენებლობა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. თურქეთმა ხელი შეუწყო მარცვლეულის ექსპორტის გამარტივებას „შავი ზღვის მარცვლეულის ინიციატივის“ მეშვეობით.

ეს ეკონომიკური ურთიერთობები ორივე მხარეს აძლევს სტიმულს, შეინარჩუნონ სტაბილური ურთიერთობა მაშინაც კი, როდესაც წარმოიქმნება პოლიტიკური ან სამხედრო დაძაბულობა. ისინი ფაქტიურად აღიარებენ, რომ მათი ურთიერთობების საფუძველს წამოადგენს თანამშრომლობის აუცილებლობა ორმხრივი დაინტერესების სფეროებსა და დარგებში. მათი ეკონომიკური კავშირები და სტრატეგიული ინტერესები საჭიროებენ დიალოგის და თანამშრომლობის გაგრძელებას. წინააღმდეგობათა ერთობლიობის მიუხედავად, თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა სტრატეგიული პრაგმატიზმის ნათელი მაგალითია.

რაც შეეხება ძალთა ბალანსს შავი ზღვის რეგიონში, ეს არის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ზონა, სადაც რუსეთი და ნატო-ევროკავშირი ერთმანეთს უპირატესობის მოსაპოვებლად ეპაექრებიან. ძალთა ბალანსი ეფუძნება სამხედრო ყოფნას, ეკონომიკურ გავლენასა და სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ კავშირებს.

შავი ზღვის ეკონომიკური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის აკავშირებს ევროპას, ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიას. ეს ზღვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნავთობის, გაზისა და მარცვლეულის ექსპორტისთვის, განსაკუთრებით რუსეთიდან და უკრაინიდან.

შავი ზღვის სამხედრო მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ რეგიონი არის ერთგვარი ფრონტის ხაზი, ანუ იგივე ბარიერი რუსეთსა და ნატოს შორის, სადაც ბარიერის ფუნქციას ასრულებენ ერთის მხრივ, თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი, როგორც ნატოს ძირითადი წევრები, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველო და უკრაინა, როგორც ნატოს პარტნიორები.

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ ნატომ გაზარდა საზღვაო ყოფნა შავ ზღვაზე, გააძლიერა სამხედრო ბაზები რუმინეთსა და ბულგარეთში. ნატოს სულისჩამდგმელმა აშშ-მა რუმინეთში დაამონტაჟა სარაკეტო თავდაცვის სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის საფრთხეების გაუვნებელყოფას.[195]

რაც შეეხება ევროკავშირის სტრატეგიას შავ ზღვაში, იგი ფოკუსირებულია ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობაზე და არა უშუალოდ სამხედრო ჩართულობაზე, რაც გამოიხატება „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრი ქვეყნების როგორც ეკონომიკურ დახმარებასა და პოლიტიკური რეფორმების მხარდაჭერაში, ისე რუსულ გაზზე დამოკიდებულების შესამცირებლად ალტერნატიული ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაში.

2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, თურქეთი ნატოს უფრო მეტად მნიშვნელოვან წევრად იქცა შავი ზღვის უსაფრთხოების დაცვის და რუსეთის შეკავების საქმეში, ვინაიდან:

- თურქეთი აკონტროლებს შავ ზღვაზე შესვლა-გამოსვლას ბოსფორისა და დარდანელის გავლით;
- თურქეთს ჰყავს ნატოს სიდიდით მეორე არმია 500 000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურით, აშშ-ს შემდეგ;
- თურქეთში განლაგებულია ნატოს რამდენიმე ბაზა, მათ შორის ინჯირლიკის საჰაერო ბაზა, სადაც აშშ-ის ბირთვული იარაღი ინახება;

[195] სტეივენ ჰორელი. ნატოს სტრატეგია როგორც უსაფრთხოების გარანტი შავი ზღვის რეგიონში. 09.10.2024. აშშ. Steven Horrell. NATO Strategy as a Security Guarantor in the Black Sea Region. 09.10.2024. USA.

- თურქეთში განთავსებულია ნატოს სარადარო სისტემები, როგორც რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ფარის ნაწილი ირანიდან, რუსეთიდან და ახლო აღმოსავლეთიდან მოსალოდნელი საფრთხეების წინააღმდეგ.

მიუხედავად თურქეთსა და ნატოს შორის არსებული გარკვეული პოლიტიკური წინააღმდეგობებისა და უთანხმოებებისა, თურქეთი მაინც საიმედო ფრონტის ხაზად რჩება ნატოსა და მის რეგიონალურ მოწინააღმდეგეებს შორის.

ნატო-ევროკავშირის ძალისხმევის საპირისპიროდ, რუსეთი ცდილობს უკრაინის ბლოკირებას საზღვაო მარშრუტების გაკონტროლებითა და უკრაინული მარცვლეულის ექსპორტის შეფერხებით. ამასთან, რუსეთი იყენებს ენერგეტიკულ გარიგებებსა და პოლიტიკურ ზეწოლას თურქეთსა და ბულგარეთზე, რათა ამ ქვეყნებმა ნატოს ქმედებებს მხარი არ დაუჭირონ.

დასკვნა

გამომდინარე აღნიშნულიდან, რეგიონის მომავალი დღეს დამოკიდებულია ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) სამშვიდობო ინიციატივებსა და რუსეთ-უკრაინის ომის შედეგებზე.

გარდა ამისა, აშშ-ს შავი ზღვის რეგიონში, როგორც ევროპის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის დამაკავშირებელ სტრატეგიულ ზონაში, სხვა გეოპოლიტიკური მიზნები და ინტერესებიც აქვს. მისი ძირითადი მიზნები და ინტერესებია:

- თავისუფალი და ღია საზღვაო გზების უზრუნველყოფა სავაჭრო და სამხედრო ოპერაციებისთვის: შავი ზღვა არის სასიცოცხლო სავაჭრო გზა ენერგომომარაგებისთვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვის და სხვა საქონლისთვის, ამიტომ აშშ ცდილობს უზრუნველყოს, რომ ეს მარშრუტები დარჩეს უსაფრთხო და ყველასათვის ხელმისაწვდომი;
- ენერგეტიკული და ეკონომიკური ინტერესები: აშშ-ს აქვს ევროპაში ენერგეტიკული დივერსიფიკაციის მხარდაჭერის ინტერესი რუსეთის ენერგომომარაგებაზე დამოკიდებულების შესამცირებლად. შავი ზღვის რეგიონი გადამწყვეტ როლს ასრულებს ამ მიზანში, რადგან ის არის ენერგიის ტრანზიტის საკვანძო დერეფანი. გავიხსენოთ სამხრეთ გაზის დერეფანი, რომლის მიზანია აზერბაიჯანიდან და კასპიის ზღვიდან გაზის ევროპაში შემოტანა, რუსეთის გვერდის ავლით;

- ენერგეტიკული უსაფრთხოება რეგიონში: აშშ-ს პოლიტიკის მთავარი ასპექტი შეამციროს ევროპის დამოკიდებულება რუსულ ბუნებრივ გაზზე და ხელი შეუწყოს ენერგიის ალტერნატიულ წყაროების გამონახვას და გამოყენებას;
- რეგიონული სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა: რეგიონის არასტაბილურობამ შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს გლობალურ უსაფრთხოებაზე;
- გეოსტრატეგიული პოზიციონირება: შავი ზღვის სტრატეგიული მდებარეობა აშშ-ს აძლევს კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვაში საკუთარი გავლენის გაძლიერების და სტრატეგიული ინტერესების დაცვის შესაძლებლობას;

აქვე უნდა ვახსენოთ აშშ-ის პრეზიდენტის განცხადება ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით, რომლებიც გადამწყვეტია მაღალტექნოლოგიური პროდუქტების წარმოებისთვის. უკრაინა-რუსეთის გამოუყენებელი რესურსები შესაძლოა სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენდეს გლობალური ძალებისთვის, მათ შორის აშშ-ისთვის. ჩინეთის დომინანტობა ამ სექტორში აიძულებს აშშ-სა და სხვა ქვეყნებს, ეძებონ ალტერნატიული გზები და მოახდინონ მომარაგების ჯაჭვების დივერსიფიკაცია.

არ არის გამორიცხული, რომ აშშ-ის ეს პოზიცია გულისხმობდეს მხოლოდ ამერიკის ეკონომიკური და ენერგეტიკული დამოუკიდებლობის პრიორიტეტულობას და არ ემთხვეოდეს კონფლიქტის ყოვლისმომცველი გაგების დღემდე არსებულ შეხედულებებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გუნეით გურერი, ელენა ვალზაკი. რუსეთ-თურქეთის სტრატეგიული თანამშრომლობა ახალი მოსფლიოს წესრიგის ფორმირების პროცესში. აშშ. 01.12.2024.
2. სურმავა გ., ბატაშვილი დ. შავი ზღვის უსაფრთხოება, მოთამაშეთა ინტერესები. რუსეთის სტრატეგია - თურქეთის მიდგომები. თბ. 2013
3. Aristopolous D. Pan-Turkic ideology and its impact on geopolitics. 07.12.2020. Turkey.
4. Avdalyan E. Turkey's Winning Strategy in the Nagorno-Karabakh Conflict. 13.
5. Horrell S. NATO Strategy as a Security Guarantor in the Black Sea Region. 09.10.2024. USA.
6. Isashenko D. Turkey's approach to the Black Sea region. 10.06.2024. Germany
7. Jones S. Russia's Shadow Against the West. USA. 18.03.2025.
8. Katyanov. V. Understanding the historical fate of Russia.
9. Romandash A. The constant evolution of Russian-Turkish relations. 27.08.2024.
10. Scutaru G. Offshores of the Black Sea Region, Energy Potential and Its Strategic Role at the Regional and Continental Levels. Bucharest. 2024.
11. Solaker G. Can Turkey play some kind of positive role in the future of Ukraine? 02.21.2025. Germany.
12. Дугин. А. Основы геополитики. 1997. РФ
13. Караганов С. Большая игра, Россия, Запад и будущее мира. РФ.